„ცარიელი სივრცე“ როგორც რუსული ექსპანსიის წინაპირობა (რაჭა–ლეჩხუმის და სვანეთის დემოგრაფიული დინამიკა)

(საკითხის დაყენების წესით)

ნოდარ ცანავა
ასოც. პროფესორი

საკითხი შეეხება ხუდონჰესის მშენებლობიდან გამომდინარე შესაძლო საფრთხის წარმოჩინებას საქართველოს ორ კონფლიქტურ რეგიონს შორის არსებული ტერიტორიის ფართობისა და მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. საფრთხის ვექტორი გადის შემდეგ რეგიონებზე:

ჯავა ► ონი ამბროლაური ლენტეხი ხაიში (ზემო სვანეთი).

დღეისათვის მოსახლეობისგან ფაქტიურად ბუნებრივი კლებით იცლება რაჭის მიმართულება. ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული ეკომიგრაცია კი პირდაპირ გამოიწვევს ამ ვექტორის ზემო სვანეთის დამამთავრებელი მონაკვეთის ტერიტორიის მოსახლეობისგან ხელოვნურად დაცლას.

შექმნილი რეალობა არ შეიძლება არ აღვივებდეს რუსეთის ცდუნებას (თუ უკვე არ მოიაზრება მის სტრატეგიულ გეგმაში) გააძლიეროს ძალისხმევა აღნიშნული ვექტორის გასაგრძელებლად ე.წ. ზემო აფხაზეთამდე, რაც შეკრავს შემაერთებელ ხაზს სოხუმსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში განლაგებულ სამხედრო ბაზებს შორის. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს რუსეთსა და აფხაზეთს შორის, მიუხედავად საყოველთაო პროტესტისა, ამჟამად გაჟღერებული ე.წ. სამხედრო-სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების მცდელობა, რასაც შემდგომში ალბად სამხრეთ ოსეთის შეურთდება და კიდევ უფრო მყიფე გახდება მშვიდობა ამ რეგიონებთან მიმართებაში. მართალია მოვლენების მსგავსი შეფასება ჯერ მხოლოდ მოსაზრებაა, თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ რაც მოიაზრება მომავალში შეიძლება განხორციელებადი გახდეს.

ქვემოთ მოგვყავს რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მოსახლეობის დინამიკა, რაც ამყარებს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას.

-რაჭა–ლეჩხუმის მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლები

ტერიტორია: 4900 კვ.კმ.

სოფლების რაოდენობა: 250 ერთეული.

მოსახლეობა : 41 382 (2002 წლის აღწერის მონაცემებით) კაცი.

სიმჭიდროვე: 8,4 /კვ.კმ (ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 67 / კვ. კმ.ზე).

ბუნებრივი მოძრაობა: დაიბადა 180, გარდაიცვალა 513 ადამიანი (2012 წ. მონაცემებით).

კლება: –333 ადამიანი.

-ონის მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლები

ტერიტორია: 1712 კვ.კმ.

მოსახლეობა : 5935 კაცი (2002 წლის აღწერის მონაცემებით).

სიმჭიდროვე : 3,5 / კვ.კმ .

ონის 17 საკრებულოდან: 13–ში დაფიქსირდა 1–დან 500 კაცამდე, 4–ში 501– დან 1000 კაცამდე, 1000 მეტი მაცხოვრებელი არ დაფიქსირებულა არც ერთ საკრებულოში, 10 კაცზე ნაკლები მოსახლე დაფიქსირდა 4 სოფელში. ს. მაკალათიას ცნობით ღების თემში, რომელიც ესაზღვრება რუსეთის ფედარაციას (დღევანდელი ღების თემის საკრებულო), 1928 წელს ცხოვრობდა 800–მდე კომლი, 6000 მოსახლით. 2002 წლის აღწერით აღნიშნული საკრებულოს სამ სოფელში (ღები, გონა, პატარა ღები) აღწერილია 740 სული, საიდანაც დღეისათვის დარჩენილია მხოლოდ 320 ადამიანი. წედისისის თემის საკრებულოში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება კონფლიქტის ზონას, სოფლებში (წედისი, ისი, სხანარი, ქვედი, ქვედულა) 2002 წლის აღწერით დაფიქსირდა 481 ადამიანი, რაც დღეისათვის განახევრებულია.

ბუნებრივი მოძრაობა : დაიბადა 60, გარდაიცვალა 178 ადამიანი (2012 წ. მონაცემებით))

ბუნებრივი კლება : –118 ადამიანი.

- ამბროლაურის მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლები

ტერიტორია: 1142 კვ.კმ.

მოსახლეობა: 13534კაცი (2002 წლის აღწერით).

სიმჭიდროვე: 10 /კვ.კმ–ზე.

ამბროლაურის 18 საკრებულოდან: 7–ში – დაფიქსირდა 1–დან 500 კაცამდე, 8–ში 501–დან 1000 კაცამდე. 3–ში 1001–დან 2000 კაცამდე. 2000 მეტი მაცხოვრებელი არ დაფიქსირებულა არც ერთ საკრებულოში. 10 და ნაკლები მოსახლეობა გააჩნია ერთ სოფელს.

ბუნებრივი მოძრაობა: დაიბადა 120, გარდაიცვალა 335 ადამიანი (2012 წ. მონაცემებით)

ბუნებრივი კლება: –215 ადამიანი.

- ლენტეხის მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლები

ტერიტორია:1344 კვ.კმ.

მოსახლეობა: 7252 კაცი (2002 წლის აღწერით)

სიმჭიდროვე: 5,4 / კვ.კმ–ზე.

ლენტეხის 7 მუნიციპალიტეტიდან: 1–ში დაფიქსირდა 1–დან 500კაცამდე, 2–ში 501–დან 1000 კაცამდე, 4–ში 1001–დან 2000 კაცამდე. 2000 მეტი მაცხოვრებელი არ დაფიქსირებულა არც ერთ მუნიციპალიტეტში, 10 კაცზე ნაკლები მოსახლე დაფიქსირდა 5 სოფელში.

ბუნებრივი მოძრაობა: დაიბადა 73, გარდაიცვალა 111 ადამიანი (2012 წ. მონაცემები).

ბუნებრივი კლება: – 38 ადამიანი.

-მესტიის მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლები

ტერიტორია : 3044,5 კვ.კმ.

მოსახლეობა : 11673კაცი (2002 წლის აღწერით).

სიმჭიდროვე : 3,8 / კვ.კმ–ზე.

მესტიის 15 საკრებულოდან 6– ში დაფიქსირდა 1–დან 500კაცამდე, 3–ში 501– დან 1000–კაცამდე , 6–ში 1001–დან 2000–კაცამდე. 2000 მეტი მაცხოვრებელი არ დაფიქსირებულა არც ერთ საკრებულოში. 10 კაცზე ნაკლები მოსახლე დაფიქსირდა 7 სოფელში

აღსანიშნავია, რომ სვანეთში დღეისათვის შობადობა არის სტაბილური, ბუნებრივ კლებას ადგილი არ აქვს, განსხვავებით საქართველოს უმეტესი რეგიონებისა სადაც მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება (ქვემო ქართლისა და საჩხერის გამოკლებით), თუმცა ფართო მაშტაბებით ხასიათდება მოსახლეობის მიგრაცია (ეკოლოგიური, სამხედრო–პოლიტიკური, სოციალური და სხვა მიზეზებით). უკანასკნელი 25– 30 წლის განმავლობაში ზემო სვანეთის მოსახლეობა ამ მიზეზებით 25ათასიდან, 12 ათასამდე შემცირდა.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერით ხაიშის თემის საკრებულო შედგება 20 სოფლისაგან მოსახლეობით 1376 ადამიანი, მათ შორის სოფ. ხაიში ცხოვრობდა 554 ადამიანი. თანამედროვე მონაცემებით ხაიშსა და მიმდებარე სოფლებში 3000 ადამიანი ცხოვრობს. ჰესის მშენებლობის შედეგად 185 ოჯახი მთლიანად იტბორება (6 სოფელი). დანარჩენ სოფლებს კი მისასვლელი გზისა და რაიონული ინფრასტრუქტურის გარეშე ტოვებს, რაც მოსახლეობის აყრასა და გადასახლებას გამოიწვევს. ახალი შემოვლითი გზა 5 საათით აგრძელებს მანძილს, რაც გარე სამყაროსგან მოწყვეტას გამოიწვევს. სულ იძულებით გასახლებულთა რაოდენობა 1500–2000 ადამიანს გადააჭარბებს. დაიტბორება 530 ჰა ფართობი, შეიქმნება 3,5 მლნ. კუბური მეტრის მოცულობის ხელოვნური რეზერვუარი, რაც სეიმური აქტივობის ზონაში უდიდესი საფრთხის მატარებელია.

ამრიგად, ჯავა–ონი–ამბროლაური–ლენტეხის მიმართულებით რეალურია ტერიტორიის ახლო მომავალში მოსახლეობისგან ბუნებრივი დაცლა, რაც სოფ. ხაიშის ტერიტორიიდან მოსახლეობის იძულებითი გადასახლების შემთხვევაში შექმნის ცარიელი ტერიტორიების ჯაჭვს ჯავა–ზემო აფხაზეთის მიმართულებით, რაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ შეიძლება გახდეს მაპროვოცირებელი საბაბი რუსეთის მხარისათვის მცოცავი ანექსიის შემდგომი გაგრძელებისა და საოკუპაციო ხაზის ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებზე გადმოსაწევად, სამხრეთ კავკასიაში მისი შორს მიმავალი სამხედრო სტრატეგიული მიზნების პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

მთა საქართველოსთვის ყოველთვის წარმოადგენდა ბუნებრივ ფარს, იგი მეტად იყო დაცული მტერთა შემოსევებისგან. ბუნებრივი მატებისათვის აქ უფრო უკთესად იყო პირობები შექმნილი, ამასთან მთის მოსახლება ასრულებდა მესაზღვრის ფუნქციას, ინაჩუნებდა ეროვნულ გენოფონდს, რომელიც შემდგომ ავსებდა გაპარტახებული ბარის მოსახლეობას. თუმცა დღეს მდგომარეობა ძალზე საგანგაშოა.

ძალიან ცუდი შედეგი მოიტანა მთის რეგიონებისათვის კონსტიტუციიდან მთის რეგიონებზე განსაკუთრებული მუხლის ამოღებამ და აქედან გამომდინარე "შეღავათები მთის რეგიონისათვის" კანონის გაუქმებამ. ასევე პირველი დონის თვითმართველობის (სოფლის, თემის) გაუქმებამ. იკარგება თემის, სოფლის ტრად-

იციული, ისტორიული საზღვრები. სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს დაეპატრონოს სოფლის საკუთრებას მიწებს, ტყეებს – განსაკუთრებით ცუდად შემოუტრიალდა რაჭის სოფლებს თითქმის კოლექტიურად მიღებული გადაწყვეტილება საერთო საკუთრებაში დაეტოვებინათ სოფლის კუთვნილი სათიბები და საძოვრები, ეს მიწები დღეს უკვე გაცხოველებული ვაჭრობის საგანი გახდა ყველა ტენდერში იგებენ მსხვილი ფირმები, მათი მხრიდან კი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება ფაქტიურად არ ხდება, რა სკოლების მასიურ გაუქმებასა და საბიუჯეტო სექტორის არსებით შემცირებასთან ერთად იწვევს კვალიფიციური კადრების თითქმის მთლიან გადინებას რეგიონიდან.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე გადაუდებლად აუცილებელია პირველ რიგში სახელმწიფო პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, რაც უნდა გამოიხატოს ახალი კანონით „მთის რეგიონებისათვის შეღავათების მინიჭებით" სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:. შეღავათები საგადასახადო კუთხით;. მრავალშვილიანი ოჯახების წახალისება;. სოფლების ს/სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფა;. პედაგოგებისათვის, ექიმებისათვის, ს/მეურნეობის მუშაკებისათვის შეღავათების დაწესება;. უფასო ვეტერინარული მომსახურეობა; რაც შეეხება სამეურნეო სექტორს, გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე:. გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა-ამოქმედება, მათ შორის; ხილის, ველური ხილის, მეცხოველეობისადმი ხელშეწყობა; სამკურნალო მცენარეების (რითაც განსაკუთრებით მდიდარია რაჭის ალპური ზონა) მოპოვება-დამუშავება; სანერგე მეურნეობის შექმნა (კაკალი, თხილი, წაბლი, აკაცია, ცაცხვი, კავკასიური სოჭი, ურთხმელი, ბზა და სხვა უნიკალური ჯიშები); ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის ხელშეწყობა; ბუნებრივი მინერალური რესურსების გადამუშავება (მინერალური წყალი, ქვა, ბარიტი); გლეხური მეურნეობების გაძლიერება განსაკუთრებით იმ სოფლებში სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ორსაფეხურიანი ოჯახები და იზრდება მომავალი თაობები და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

2.საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემები.

3.ანზორ თოთაძე - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2013.

4.www.statisics.ge